ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-012112035**
თარიღი: **30/04/2021**
პინი: **6347**

ადრესატი: მალხაზ გაბედავა
პირადი ნომერი: 62004013261
მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №14

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო მალხაზ,

თქვენი მ/წლის 22 აპრილის განცხადების (მერიაში რეგისტრაციის №19/01211123394-16; 22.04.2021წ.) პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისი სოფელი დიღომი, ჩალიპირების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ 01.72.14.064.324) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმებას, გაცნობებთ, წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია.

წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია იმ პირობით, რომ ტროტუარების ნაწილი, რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთება საჯარო სერვიტუტით.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამუშაოს დასრულების შემდეგ, 30 კალენდარული დღის ვადაში დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია იმ პირობით, რომ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ცვლილების შემთხვევაში სქემა ხელახლა საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

შენიშვნა: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/U5ZQwCNZXbTqVDM

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 5 21 01105758

04/05/2021

შპს "ბიემჯი გრუპი "-ს წარმომადგენელს მ. გაბედავას
ქ. რუსთავი, ჭავჭავაძის N7, ბინა 9;
თქვენს 2021 წლის 4 მაისის განცხადებაზე

ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ, ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ჩალიპირების ქ. ს/კ 01.72.14.064.324-ის მიმდებარედ შესასვლელ–გამოსასვლელი გზის მოწყობის, სამშენებლო დამცავი ღობის განთავსების და არსებული საგზაო/სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი სქემების შეთანხმებას.

- ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების (წერილის ნომერი 30/04/2021 16-012112035) სააგენტოს თანხმობას, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი მოაწყოთ სამშენებლო დამცავი ღობე შემდეგი პირობების დაცვით:
- სამშენებლო დამცავი ღობე შეიღებოს შავ-თეთრი ან წითელ-თეთრი ზოლებით;
- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით წარმოდგენილი სქემის შესაბამისად;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე მიმდებარე ტერიტორია მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში და დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი;
- სამუშაოების დაწყების და დამთავრების შესახებ წინასწარ ეცნობოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (ტელ: 241-85-04; 241-85-05);

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: 1 ფაილად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით



მ. 1:1000

ვებ-ტოპოგრაფიული გეგმა

ობიექტის მისამართი:
ორთაჭალის ტექნიკური ინსპექციის სახელმწიფო მუნიციპალური ქონება, ქ. „ვაჟა-ფშაველა“ ქუჩა 218.01.14-2014 სანიტარული დაცვის ზონა, ორთაჭალის ტექნიკური ინსპექციის სახელმწიფო მუნიციპალური ქონება, ქ. „ვაჟა-ფშაველა“ ქუჩა 218.01.14-2014 სანიტარული დაცვის ზონა

ქონების ნაწილი 1 ნაკვეთი ამონაწერი უძრავი ნივთის რეგისტრაციის კოდი: 01.72.14.064.233, ორთაჭალის ტექნიკური ინსპექციის სახელმწიფო მუნიციპალური ქონება, ქ. „ვაჟა-ფშაველა“ ქუჩა 218.01.14-2014 სანიტარული დაცვის ზონა

1) ორთაჭალის ინსპექციის ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტები: ავტოსადგომი 110 ადგილზე, აქედან: ავტოსადგომი 30 ადგილზე, ბენზინგასამართი სადგური 2 პოსტით, ავტოსადგომი 80 ადგილზე.
2) სატრანსპორტო საშუალებების მიღება-გაცემა ხდება მხოლოდ ავტოსადგომის 30 ადგილზე.
3) ვიდეოთვალთვალი ობიექტზე ხორციელდება 24 საათის განმავლობაში.
ა) ობიექტზე დასაქმებული პერსონალის რაოდენობა 30 ადამიანი.
ბ) სატრანსპორტო საშუალებების მიღება-გაცემა ხდება ორთაჭალის ტექნიკური ინსპექციის სახელმწიფო მუნიციპალური ქონების ტერიტორიაზე.
გ) ობიექტზე დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეესაბამება ნორმას.

ორთაჭალის ტექნიკური ინსპექციის სახელმწიფო მუნიციპალური ქონების ტერიტორიაზე ნარჩენების მართვა ხდება ხელშეკრულების საფუძველზე

შენიშვნა :
მშენებარე ობიექტს წარმოადგენს კაპიტალური ბლოკის ღობე.
აქედან გამომდინარე ნაკვეთი 01.72.14.064.324-სთვის ეწყობა მხოლოდ ნაკვეთში შესასვლელი გზა და კაპიტალური ბლოკის ღობე.



მ. 1:1000

პირობითი აღნიშვნები:

- მოსაწყობი გზა
- მოსაწყობი ბლოკის ღობე
- ტროტუარი
- შშმ პირთა პანდუსები

შპს. „ბიემჯი გრუპ"
საქართველო, თბილისი, შარტავას № 14 მობ: 598 667070; 577158039

ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, რჩეულიშვილის ქ. კვირაცხოველის I ჩიხი, ნაკვ. № 01.72.14.064.324–ში, მშენებარე ობიექტის (კაპიტალური ღობე) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით
საკონტ. პირი მ. ბაბედავა 599653788

წარმომადგენელი

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა (სამუშაოთა დასრულებული ვარიანტი)

ზ. ბასილაძე

შპს „პრივატ ტრეფიკ სერვისი“ საკადასტრო ოფისის ხელმძღვანელი: ნ. ჭიპაშვილი ხელმოწერა:	ს/კ 298 660706, ტელ.: +995 577 15 80 39	ობიექტის სახელწოდება: ბათუმის ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომობილების გაჩერების ადგილების მოწყობა
საკადასტრო კოდი: 05.32.14.064.233	მ. 1:1000	ნახაზის დასახელება: ავტომობილების გაჩერების ადგილების მოწყობის სქემა

ნახაზის ფრაგმენტი

ნახაზის ფრაგმენტი

ნახაზის ფრაგმენტი

შპს „ბიემჯი გრუპ“
ქ. თბილისი, შ. შარტავას №14,
ს/კ 406128239
პროკრედიტ ბანკი ა/№GE06PC0113600100030706
ტელ: 598 66 70 70; 577 15 80 39

LTD„BMG GROUP“
Tbilisi, J. Shartava str. №14
ID/№406128239
PROCREDIT BANK, AC/№
GE06PC0113600100030706
ტელ: 598 66 70 70; 577 15 80 39

ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ”ჩალიპირები” ს/კ 01.72.14.064.324 ორ სართულიანი სახლის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები

საინჟინრო-გეოლოგია

ქ. თბილისი 2021 წ.

ტექნიკური დავალება
საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

1. **ობიექტის დასახელება** – ქ. თბილისში, სოფელ დიღომში ორ სართულიანი სახლის მშენებლობა;

2. **დამკვეთი** – შ.პ.ს ელ კაპიტალ თბილისი

3. **ობიექტის მდებარეობა** –სოფელი დიღომი ”ჩალიპირები” ს.კ: 01.72.14.064.324

4. **დაპროექტების სტადია** – სამუშაო პროექტი;

5. **შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით** – II კლასი;

6. **ობიექტის ტექნიკური დახასიათება** – ორ სართულიანი სახლი

7. **საძირკვლის ტიპი** – ლენტურ წერტილოვანი ან ფილა;

8. **შენობის ტიპი** – რკინა ბეტონის, მონოლითური კარკასი, წვრილი კედლის ბლოკების შევსებით;

9. **ჩატარდეს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შენობის დაფუძნების პირობების შესწავლის მიზნით;**

10. **საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში წარმოდგენილი იქნას ერთ ეგზემპლარად.**

ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ”ჩალიპირები” ს/კ 01.72.14.064.324 ორ სართულიანი სახლის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები

შ.პ.ს ელ კაპიტალ თბილისის დავალებით 2021 წლის თებერვალში შ.პ.ს. „ ბიემჯი გრუპი ”-ს ინჟინერ-გეოლოგის მიერ ჩატარებული იქნა სოფელ დიღომში ”ჩალიპირები” ს/კ01.72.14.064.324 საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ორ სართულიანი სახლის დაპროექტებასთან დაკავშირებით.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მიზანს წარმოადგენს საპროექტო შენობის დაფუძნების პირობების შესწავლა.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად ს.ნ. და წ. 1.02.07.87 საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის, ს.ნ. და წ. - „შენობის და ნაგებობების ფუძეები” (პნ02.01-08); ს.ნ. და წ. – სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ01.01-09); სახ.სტანდარტი 25100-82 (გრუნტები). საველე სამუშაოების, საფონდო და ლიტერატურული მასალების გამოყენებით.

ტექნიკური დავალების თანახმად გამოყოფილ უბანზე გათვალისწინებულია ორ სართულიანი სახლის მშენებლობა

უშუალოდ სამშენებლო მოედნის ფარგლებში წინა წლებში საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ჩვენ მიერ არ ჩატარებულა.

„კლიმატი

შესწავლილი ტერიტორია შედის ქვემო ქართლის ბარის მშრალი სუბტროპიკული სტეპური ჰავის ზონაში, ზომიერად ცივი ზამთარით და ცხელი ზაფხულით (სამშენებლო-კლიმატური დარაიონების IIIბ ქვერაიონი). უბნის კლიმატური ელემენტები დახასიათებულია სამშენებლო კლიმატოლოგიის პნ 01.05-08-ს მიხედვით დიღმის და თბილისის ობსერვატორიის მეტეოსადგურის მონაცემებით.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 12.3^{0}C.

ყველაზე ცივი თვეა იანვარი, საშუალო ტემპერატურით 0.7^{0}C. ყინვები შეიძლება დაიწყოს ნოემბერში და გაგრძელდეს მარტამდე. აბსოლუტური მინიმუმია -230C.

წლის ყველაზე თბილი თვე აგვისტოა, საშუალო ტემპერატურით 24.40ჩ, აბსოლუტური მაქსიმუმია 40^{0}C.

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე 0-ის ტოლია.

მოსული ნალექების წლიური ჯამი საშუალოდ 560 მმ, მათი მაქსიმალური რაოდენობა მოდის მაისში, მინიმალური კი იანვარში, მეორე მინიმუმია აგვისტო. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ 89. ნალექების დღეღამური მაქსიმუმია 147 მმ. დანესტიანების კოეფიციენტია 0.55.

თოვლი შეიძლება მოვიდეს ნოემბრიდან აპრილამდე. თოვლი ყოველ წელს არ მოდის, შესაბამისად მყარი საბურველიც იშვიათია ან შეიძლება გასტანოს 15 დღეს. თოვლის საშუალო სიმაღლეა 8 სმ, ხოლო მაქსიმალური 30 სმ. თოვლის წონაა 0.50 კპა.

ჰაერის ფარდობითი ტენიანობის საშუალო წლიური მაჩვენებელია 66%. საშუალო ფარდობითი ტენიანობა იანვარში 60%-ია, ხოლო აგვისტოში 40%.

წლის განმავლობაში უბანზე გაბატონებულია ჩრდილოეთის 36% და ჩრდილო-დასავლეთის 23% ქარები. გაცილებით ნაკლებია სამხრეთი 14% და სამხრეთ-აღმოსავლეთის 10% ქარები. კიდევ უფრო ნაკლები ჩრდილო-აღმოსავლეთის 6%, დასავლეთის 5%, აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის 3-3% ქარები. ქარზე დაკვირვებათა საერთო რიცხვის 73% შტილია. ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარეებია – იანვარი 2.1/0.1, ხოლო ივლისში 2.0/07. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ შეადგენს 0.60 კპა-ს.

ქარის ყველაზე დიდი შესაძლო სიჩქარე ერთხელ მაინც მ/წმ.

ყოველწლიურად	5 წელიწადში	10 წელიწადში	15 წელიწადში	20 წელიწადში
21	26	29	20	31

ატმოსფეროს განსაკუთრებული მოვლენები წლის განმავლობაში-დღე

ნისლი		ელჭექი		სეტყვა		ქარბუქი	
საშუალო	ყველაზე დიდი	საშუალო	ყველაზე დიდი	საშუალო	ყველაზე დიდი	საშუალო	ყველაზე დიდი
33	62	35	52	1.6	7	0.3	4

გეომორფოლოგიური პირობები, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით გამოკვლეული უბანი მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირეთის დიღმის ველის სამხრეთ ნაწილში, რომლის რელიეფი გლუვი ზედაპირით ხასიათდება. მორფოლოგიური განვითარების მიხედვით იგი მიეკუთვნება დენუდაციურ-აკუმულაციურ ტიპს. დიღმის ველი სამი მხრიდან სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია დაბალი მთიანეთით და შესამჩნევად არის დახრილი აღმოსავლეთისაკენ მდ. მტკვრის მიმართულებით. აღმოსავლეთისკენ იგი თანდათან ფართოვდება და 4-5

კმ-ს აღწევს, სიგრძე კი 6.0-6.5 კმ-ია. გამოკვლეული უბნის რელიეფი ტექნოგენურია და ჩრდილოეთისკენ სუსტადაა დახრილი.

ტექტონიკური თვალსაზრისით გამოკვლევი უბანი მთლიანად მოთავსებულია დიღმის სინკლინის სამხრეთი ფრთის ფარგლებში რომელიც აგებულია ქვედა მიოცენის ქვიშა-თიხოვანი შემადგენლობის ქანების წყლებით ე.წ. „კოწახურის ჰორიზონტის” (N_1^1cz) მუქი ნაცრისფერი არაკარბონატული თიხებით, ქვიშაქვებით და სუბარგილიტებით. თიხები გამოფიტვის შემდეგ იცვლიან ფერს და მოყავისფრო შოკოლადის ფერს ან მოყვითალო მურა შეფერილობას იძენენ, მათში აღინიშნება თაბაშირის ფირფიტები ან კრისტალები, ხშირად გხვდება სფერორიდოტული კონკრეციები თიხები და სუბარგილიტები მუქი მოშავო ფერისანი არიან. თხელშრეებრივია ქვიშაქვები საშუალო და ნაცრისფერი თიხოვან ცემენტზე პოლიმიქტური. ისინი თიხებსა დაა სუბარგილიტებს შორის მორიგეობენ, ჭრილში მათი თანაფარდობა 60-40. ქანების დაქანების აზიმუტი საშუალოდ 17^0 დაქანების კუთხე 15-20. გეოლოგიური ჭრილის ზედა ნაწილში ქანები ზლიერ დანაპრალებული და ძლიერ გამოფიტულია. სიღრმეში გამოფიტვის ხარისხი თანდათან კლებულობს. ძირითადი ქანების სიმლავრე რამდენიმე მეტრიდან ათეულობით მეტრამდეა. ძირითადი ქანები საკვლევ უბანზე დაფარულია მეოთხეული ასაკის რთული შემადგენლობის და განსხვავებული სიმძლავრის საფარი ქანებით, ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ტბიურ-ჭაობური, დელუვიურ-პროლუვიური წარმონაქმნებით და ნაყარი გრუნტით. საფარი ქანების ჯამური სიმძლავრე 12 მეტრამდეა.

.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები

მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ჩატარდა უბნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები. გაყვანილ იქნა 2 ჭაბურღილი სიღრმით 3მეტრი..

ფენა 1 – ნაყარი ფენა 0.0-1.0მ

ფენა 2 – თიხნარი ძნელპლასტიკური 1.0მ-3.0მ

ფენა 2 ცხრილი 1

სიმკვრივე	P	1.87 გ/სმ^3
ხვედრითი შეჭიდულობა	C	232 კპა (0.232კგძ/სმ^2)
შინაგანი ხახუნის კუთხე	φ	20.5
დეფორმაციის მოდული	E	14.6 მპა (146 კგძ/სმ^2)
საანგარიშო წინაღობა	R_o	201 კპა (2.01 კგძ/სმ^2)
საგების კოეფიციენტი	K	2.5 კგძ/სმ^2

ჭაბურღილში ბურღვის პროცესში გრუნტის წყალი არ დაფიქსირებულა (2021 წლის თებერვალი)

დასკვნები და რეკომენდაციები

1. სამშენებლო უბნის გეოლოგიური აგებულებიდან და გეომორფოლოგიური პირობებიდან გამომდინარე უბანი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების თვალსაზრისით იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში, რადგან აქ უარყოფითი საინჟინრო-გეოლოგიური პროცესები: მეწყერი, ჩაქცევები, სუფოზიური გამორეცხვა, კარსტი დასხვა არ აღინიშნება და მშენებლობის დროს არ არის მისი განვითარების საშიშროება.
2. სამშენებლო უბანი, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ს.ნ.წ. 1.02.07-87-ის დანართი 10-ის თანახმად, მიეკუთვნება II საშუალო კატეგორიას;
3. უბნის გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა ფენა2 თიხნარი ძნელპლასტიკური – I სგე. დასაპროექტებელი ორ სართულიანი სახლის დაფუძნება მოხდეს ამ სგე ელემენტზე.

სიმკვრივე	P	1.87 გ/სმ^3
ხვედრითი შეჭიდულობა	C	232 კპა (0.232კგძ/სმ^2)
შინაგანი ხახუნის კუთხე	φ	20.5
დეფორმაციის მოდული	E	14.6 მპა (146 კგძ/სმ^2)
საანგარიშო წინაღობა	R_o	201 კპა (2.01 კგძ/სმ^2)
საგების კოეფიციენტი	K	2.5 კგძ/სმ^2

4. საქართველოს სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა" პნ 01.01.09-ს ცხრილი № 1-ის სეისმური საშიშროების რუკის დანართი 1-ის მიხედვით, სამშენებლო უბანი მიეკუთვნება 8 ბალიან ზონას, რადგან უბანზე გავრცელებული გრუნტები აღნიშნული ცხრილის მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას;ქვაბულის ფერდის მაქსიმალური დასაშვები დახრა უბანზე გავრცელებული გრუნტისათვის მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01-87-ის 3.11÷3.15 პუნქტების და ს.ნ. და წ. III-4-80-ს მე-9 თავის მოთხოვნათა მიხედვით.

5. ძირითად ქანებში ღრმად ჩასვლის შემთხვევაში არ არის გამორიცხული ნაპრალოვანი წყლების გამოჩენა ამ შემთხვევაში საჭირო იქნება ჰიდროიზოლაციური სამუშაოების ჩატარება და სულფატმდგრადი ცემენტის გამოყენება..

6. საძირკვლებისათვის მომზადებული ქვაბულის მიღება ბეტონის ჩასხმის წინ ინჟინერ-გეოლოგის მიერ აუცილებელია, შესაბამისი აქტის შედგენით.

ინჟინერ-გეოლოგი დ.ჯანელიძე

საქართველო

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ჩალიპირები, 515 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო
დანიშნულების ს/კ №/01.72.14.064.324 მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ზს	საცხ. შენობა	ბორდიული	ჭიშკარი
ას	არასაცხ. შენობა	ხის ღობე	ბეტონი
	ფარდული	ღობე	
	მშენებარე შენობა	ქვის კედელი	წყალგაყვანილობა
	საწრანსფორ. ჯიხური	კედელი	კავშირგაბმულობა
	ხეები	ფლატე	ელ. ქსელები
	გარე განათება	რკინიგზა	ბუნებრივი აირი
		სამოვალეურეო ჭები	სადრენაჟო ინფრასტრუქტურა
		ელ. გადამცემი ხაზი	ინტერნეტ ქსელი

შენიშვნა:1) ნაკვეთის საზღვარი (თუ იგი არის ნახაზზე) მითითებულია დამკვეთის მიერ

2) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

შპს „ბიემჯი გრუპ“
საქართველო, თბილისი, შარტავას ქუჩა 14
მობ: 598 667070; 577 158039

LTD `BMG GROUP~
14 Sartava St.Tbilisi,Georgia

ტექნიკური დირექტორი:		ზ. ბახილაძე
აზომა:		გ.შუბითიძე
დახაზა:		გ.შუბითიძე
დამკვეთი:		შპს " ელ კაპიტალ თბილისი"
მაშტაბი: 1:500		30.11.2020წ.

საქართველო

Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

Legal Entity of Public Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

მაგისტრის დიპლომი

Master's Diploma

MD № 002898

სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის
2019 წლის 17 ივლისის № 13 გადაწყვეტილებით

დავით ჯანელიძეს

მიენიჭა სამთო და გეონჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი
სპეციალური გეოლოგიის სპეციალიზაციით

By the decision № 13 July 17, 2019 of the Faculty of Mining and Geology

Mr. Davit Janelidze

was awarded the Degree of Master of Mining and Geo-Engineering in Specializing in Engineering Geology

რეგისტრაციის Registration № 02894

დეკანი Dean ანზორ აბშილავა Anzor Abshilava

თბილისი Tbilisi 10 რიცხვი/Day 09 თვე/Month 2019 წელი/Year

რექტორი Rector არჩილ ფრანგიშვილი Archil Prangishvili

Seal

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: „ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, “ ჩალიპირები” ს.კ.01.72.14.064.324 ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა“.

შ.პ.ს ელ კაპიტალ თბილისი-ს თხოვნით, ჩვენს მიერ 2021 წლის თებერვალში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, “ჩალიპირები” ს.კ.01.72.14.064.324 ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, “ჩალიპირები” ს.კ.01.72.14.064.324 ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „ბიემჯი გრუპ“-ის გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2021 წლის თებერვალში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟ. გეოლოგი დ. ჯანელიძე.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 9 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. მოედნის ტოპოგეგმა..... 1 ფურც.

პროექტით გათვალისწინებულია ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 2 ჭაბურღილი, თითოეული 3.0 მ. სიგრძის. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი ფენა
2. ფენა 2 – თიხნარი ძნელპლასტიკური

ანგარიშში მოკლედაა მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება, მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. ავტორი აღნიშნავს, რომ ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, როგორიცაა მეწყერი, ზვავი, სუფოზია და სხვ. არაა მოსალოდნელი. ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გამოკვლეულ სიღრმეზე გრუნტის წყალი არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, "ჩალიპირები" ს.კ.01.72.14.064.324 ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. *გ. ჭოხონელიძე*

CV – ჭოხონელიძე გუგა

გვარი სახელი, ამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძე №10, ბინა 25 ტელ: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ გეოლოგიის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის – აკადემიკოსი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკის და ფუძე - საძირკვლების მიმართულების ხელმძღვანელი.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფიულია "საქართველოს ლიოსისებული გრუნტები" (1976წ) და "ამიერკავკასიის ლიოსისებული გრუნტები " (1988წ) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის სოხუმის და ქ. ფოთის საინჟინრო "გეოლოგიურ პირობები გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთან დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. "გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და "საინჟინრო ნაგებობები" (2012წ.) ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01-2003წ. "შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული-მშობლიური; რუსული-კარგად; ინგლისური-ლექსიკონის დახმარებით.

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол № 18)

Сохиашвили Гуро Ивану

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей Аттестационной Комиссии

Москва 2 декабря 1975 г.

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე
ჭოხონელიძეს

მასზე, რომ იგი 1967 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ.
30 ივნისის დადგენილებით
გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა
სამთო ინჟინერ
ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე [signature]

რექტორი [signature]

მდივანი [signature]

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010589

სახელი გუგა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ——————

N° ლ 0266413

პირადი ხელმოწერა

მისამართი ——————

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე განყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ——————

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა

შ.პ.ს "ოპტიმუსი"

ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ.თბილისი, სოფ.დიღომი, ჩალიპირები

ს/ჯ 01.72.14.064.324

კონსტრუქციული ნაწილი

თბილისი 2021წ.

ქ.თბილისი, სოფ.დიღომი, ჩალიპირები ს/კ 01.72.14.065.324 ინდივიდუალური ერთბინიანი

საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის

განმარტებითი ბარათი

წინამდებარე პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს საფუძვლად დაედო არქიტექტურული ნახაზები, ნაკვეთის ტოპო-გეგმა. ალბომში მოცემულია მუშა დოკუმენტაცია მარკით "კ".

საპროექტო გადაწყვეტით შენობა გეგმაში ოთხკუთხა ფორმის მოხაზულობისაა გაბარიტული ზომებით 11 ,40X17.30, ის ორსართულიანია.

თვისობროვი კონსტრუქციული წყობით შენობა კარკასული ტიპისაა ხისტი კვანძებით და შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონის სივრცითი კარკასით.

მიწის ნაკვეთის საინჟინრო-კვლევის შედეგების მიხედვით საძირკველი გადაწყვეტილია რკ/ბეტონის წერტილოვანი საძირკვლების სახით (150X150მმ.) რომლებიც ფუძნდება თიხნარზე.

საანგარიშო წინაღობით R_0=2.2კგ.ძ/სმ^2 და შეკრულია რანდ-კოჭებით. შენობის ვერტიკალურ მზიდუნარიანობას უზრუნველყოფს რკ/ბეტონის სვეტები განივი კვეთით 0,30X0,30მ;
ჰორიზონტალურს რიგელები განივკვეთით 0,30X0,40მ;

გადახურვის წიბოვანი ფილა (h=0,16მ.).

შენობის სახურავი ბრტყელია, მოქცეულია პარაპეტში.

კედლების შემავსებელია წვრილი სამშენებლო ბეტონის ბლოკი ქვიშა-ცემენტის დუღაბზე.

მიწის ნაკვეთზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიხედვით მიწის გრუნტი იმყოფება დამაკმაყოფილებელ გეო-ფიზიკურ მდგომარეობაში. მასში საშიში გეოლოგიური პროცესები არ შეინიშნება.

საძირკვლის ფუძედ მიღებულია თიხნარი წინაღობვით R_0=220 კ.პა (2.2კგ.ძსმ2);

საპროექტო ტერიტორია განისაზღვრება შემდეგი კლიმატური პირობებით:

ქარის დატვირთვა (ნორმატიული) –W_0 = 0.85კპა

თოვლის საფარის წონა (ნორმატიული) – q = 0.50კპა;

გრუნტის ჩაყინვის სიღრმე (ნორმატიული): 0.90სმ.

საერთო მიკროდარაიონებისა (Ან 01.01.-09) და ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიხედვით სამშენებლო მოედნის სეისმურობად მიღებულია 8 ბალი.

შენობის მზიდი კონსტრუქციების სივრცითი მოდელის საანგარიშო სქემა შედგენილია პროგრამული კომპლექს "лира"-ს მეშვეობით. სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე. სივრცით ანგარიშებში მოცემულია რკინაბეტონის ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცითი სისტემა, რომლის გადაადგილება სივრცეში შეზღუდულია საძირკვლის ძირის დონეზე არსებული X,Y ,Z მიმართულების ბმებით.

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +995 595 90 22 25;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 90 22 25 shankvetadze@gmail.com

ზოგადი მითითებები

1. რკ/ბ-ის კონსტრუქციების დაბეტონებისას უნდა გაეწიოს კონტროლი ბეტონის მარკას, ვიბრირებას, დაბეტონების ხარისხს და შრობის პროცესს თანახმად ГОСТ 10180-78, ГОСТ 18105.0-80, ГОСТ 18105.1-80, ГОСТ 18105.2-80.
2. რკ/ბ-ის კონსტრუქციებში გამოყენებულია პროექტში მითითებული კლასის არმატურა ТСН 102-00-ის მიხედვით. შემოწმებულ იქნას არმატურის ხარისხი და შედეგს შესაბამისი აქტი.
3. რკინაბეტონის კონსტრუქციებში გრძივი არმატურის დაკავშირება შესრულდეს გადაღებით - წინამდებარე პროექტის მიხედვით.
4. ღეროვან ელემენტებში განივი არმირება შესრულდეს შეკრული არმატურის საკიდების მეშვეობით, რომელთა ბოლოები გადაიღუნოს და ჩაანკერდეს კონსტრუქციის ტანში.
5. საძირკვლის და სვეტების ზედაპირს ასევე მონოლითური კონსტრუქციებს, რომლებსაც შეხება აქვთ მიწასთან, დამუშავდეს და მოეწყოს წელვადი ჰიდროიზოლაცია თანამედროვე მასალებით და ტექნოლოგიებით.
6. რკ/ბ-ის კონსტრუქციებში პროექტით გათვალისწინებულია B-25 კლასის ბეტონი, არმატურა III და I კლასის.
კონსტრუქციებში ბეტონის ჩაწყობა შესრულდეს ვიბრატორის გამოყენებით. ბეტონის დამზადებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ცემენტის შემადგენლობას და ხარისხს – დანიშნულების მიხედვით.
7. კონსტრუქციულ ნახაზებზე მუშა არმატურები მიბმულია ღერძულად.

ინჟინერი -კონსტრუქტორი

გ.შანკვეტაძე





საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +995 595 90 22 25;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 90 22 25 shankvetadze@gmail.com

წერტილოვანი საძირკვლის გეგმა -1.50 ნიშნულზე



დირექტორი		გ.ჯანკვეტაძე	ქ. თბილისი, სოფ.დიღომი, ჩალიპირები	სტადია	ფურცელი	ფურცლები
კონსტრუქტორი		გ.ჯანკვეტაძე		პროექტი		
შეასრულა		მ.ბარბაქაძე	ს/კ 01.72.14.064.324			
			კონსტრუქციული ნაწილი	optimus ოპტიმუსი	შ.პ.ს."ოპტიმუსი"	
			ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი	თბილისი 2021 წელი		

წერტილოვანი საძირკველი წს-1



პოზ. 2



პოზ. 4



ჭრილი 1-1



პოზ. 1



დირექტორი		გ.ჭანკვეტაძე	ქ, თბილისი, სოფ.დიღომი, ჩალიპირები	სტადია	ფურცელი	ფურცლები
კონსტრუქტორი		გ.ჭანკვეტაძე		პროექტი		
შეასრულა		მ.ბარბაქაძე	ს/კ 01.72.14.064.324			
			კონსტრუქციული ნაწილი	optimus ოპტიმუსი	შ.პ.ს."ოპტიმუსი"	
			ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი	თბილისი 2021 წელი		

რანდკოჭების განლაგების გეგმა +0.00 ნიშნულზე



რანდკოჭის არმირება



კვეთი 1–1



პოზ. №I
L=1.50 მ.



დირექტორი		გ.ჭანკვეტაძე	ქ. თბილისი, სოფ.დიღომი, ჩალიპირები	სტადია	ფურცელი	ფურცლები
კონსტრუქტორი		გ.ჭანკვეტაძე		პროექტი		
შეასრულა		მ.ბარბაქაძე	ს/კ 01.72.14.064.323			
			კონსტრუქციული ნაწილი		შ.პ.ს."ოპტიმუსი"	
			ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი	თბილისი 2021 წელი		

სვეტების განლაგების გეგმა +0.00 და +3.60 ნიშნულებზე



მონოლითური სვეტი სვ-1

მ 1:25



ჭრილი 1-1
მ 1:25



დირექტორი		გ.ჭანკვეტაძე	ქ.თბილისში, სოფ.დიღომი,	სტადია	ფურცელი	ფურცლები
კონსტრუქტორი		გ.ჭანკვეტაძე	მიკრორაიონი	პროექტი		
შემსრულა		მ.ბარბაქაძე	სპ 01.72.14.064.324			
			კონსტრუქციული ნაწილი	შპს."ოპტიმუსი"	
			ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი	თბილისი 2021 წელი	

რიგელების განლაგების გეგმა +3.60 ნიშნულზე



რიგელების არმირება



კვეთი 1–1





დირექტორი		გ.ჯანკვეტაძე	ქ. თბილისი, სოფ.დიღომი, ჩალიპირები	სტადია	ფურცელი	ფურცლები
კონსტრუქტორი		გ.ჯანკვეტაძე		პროექტი		
შეასრულა		მ.ბარბაქაძე	ს/კ 01.72.14.064.324			
			კონსტრუქციული ნაწილი		შ.პ.ს."ოპტიმუსი"	
			ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი	თბილისი 2021 წელი		

კედლების სვეტთან ჩამაგრების დეტალი გეგმაში (ვარიანტი ა)



კედლების სვეტთან ჩამაგრების დეტალი გეგმაში (ვარიანტი ბ)



კედლების სვეტთან ჩამაგრების დეტალი გეგმაში (ვარიანტი გ)



დირექტორი		გ.ჯანკვეტაძე	ქ. თბილისი, სოფ.დიღომი, ჩალიპირები	სტადია	ფურცელი	ფურცლები
კონსტრუქტორი		გ.ჯანკვეტაძე		პროექტი		
შეასრულა		მ.ბარბაქაძე	ს/კ 01.72.14.064.324			
			კონსტრუქციული ნაწილი		შ.პ.ს."ოპტიმუსი"	
			ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი	თბილისი 2021 წელი		

მონ. რ/ბ რიგელის ზედა და ქვედა არმატურის გადადებით გადაბმის დეტალის ვერტიკალური ჭრილი



მონ. რ/ბ რიგელის არმატურის სვეტში ჩამაგრების დეტალი



მონ. რ/ბ რიგელის არმატურის გადადებით გადაბმის დეტალი გეგმაში



პოზ. №1
L=1.26 მ.



რიგელებში საკიდების განაწილების ტიპიური სქემა



დირექტორი		გ.ჯანკვეტაძე	ქ. თბილისი, სოფ.დიღომი, ჩაღიპირები	სტადია	ფურცელი	ფურცლები
კონსტრუქტორი		გ.ჯანკვეტაძე		პროექტი		
შეასრულა		მ.ბარბაქაძე	ს/კ 01.72.14.064.324			
			კონსტრუქციული ნაწილი		შ.პ.ს."ოპტიმუსი"	
			ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი	თბილისი 2021 წელი		

იატაკის ერთშრედ არმირებული ფილა +0.00 ნიშნულზე



არმატურის გადაბმის სქემა



მონოლითური ფილის ჭრილი +0.00

მ 1:20



ზედა შრე

დირექტორი		გ.ჭანკვეტაძე	ქ.თბილისში, სოფ.დიღომი, კვარტალი	სტადია	შურცელი	შურცლები
კონსტრუქტორი		გ.ჭანკვეტაძე		პროექტი		
შესრულა		მ.ბარბაქაძე	სამ 01.72.14.064.324			
			კონსტრუქციული ნაწილი	შპს"ოპტიმუსი"		
			ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი	თბილისი 2021 წელი		

გადახურვის ორშრედ არმირებული ფილა +3.60 და +6.80 ნიშნულებზე



არმატურის გადაბმის სქემა



მონოლითური ფილის ჭრილი +3.60

მ 1:20





დირექტორი		გ.ჯანკვეტაძე	ქ. თბილისი, სოფ.დიღომი, ჩალიპირები	სტადია	ფურცელი	ფურცლები
კონსტრუქტორი		გ.ჯანკვეტაძე		პროექტი		
შეასრულა		მ.ბარბაქაძე	ს/კ 01.72.14.064.324			
			კონსტრუქციული ნაწილი		შ.პ.ს."ოპტიმუსი"	
			ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი	თბილისი 2021 წელი		

ფილის არმირების ფრაგმენტი +3.60 ნიშნულზე



ჭრილი 1-1



ჭრილი 2-2





კარკასი №1



დირექტორი		გ.ჯანკვეტაძე	ქ. თბილისი, სოფ.დიღომი, ჩარიპირები	სტადია	ფურცელი	ფურცლები
კონსტრუქტორი		გ.ჯანკვეტაძე		პროექტი		
შეასრულა		მ.ბარბაქაძე	ს/კ 01.72.14.064.324			
			კონსტრუქციული ნაწილი	შ.პ.ს."ოპტიმუსი"		
			ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი	თბილისი 2021 წელი		

მონ. რ/ბ კიბე №1-ის კიბის მარშის კმ-2-ის არმირება





კვეთი 1-1



კოჭი





საბაჟო ტერმინალი "ოპტიმუსი"
OPTIMUS
404420955
GEORGIA, "OPTIMUS" LTD

დირექტორი		ბ.ბანძელაძე	ობიექტის: ქ.თბილისში, სოფ.დიღომი, ზედაპირები	სტადია	ფურცელი	ფურცლები
კონსტრუქტორი		ბ.ბანძელაძე		პროექტი		
შესრულა		მ.ბარბაქაძე	ს/ნ 01.72.14.064.324			
			კონსტრუქციული ნაწილი	შპს."ოპტიმუსი"	
			ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი	თბილისი 2021 წელი	

რკ/ბეტონის მასალათა სპეციფიკაცია

კონსტრ. დასახ.	№ პოზ.	კონსტრუქციის დასახელება	არმატურის ამოკრეფა Ф მმ	საერთო სიგრძე მ	მასა კგ A-III	მასა კგ 8A-I	ბეტონის ამოკრეფა ბეტონი B 25 მოცულობა მ³
	1	ფერტილოვანი საძირკველი	12A-III	—	395	50	8.1
	2	საძირკველის ნაშვერები	18A-III	—	430	—	—
	3	რანდკოჭები	18A-III	—	720	288	7.2
	4	სვეტები	18 A-III	—	1040	226	4.8
	5	რიგელები	18A-III	—	1440	480	8.6
	6	იატაკის ფილა	12A-III	—	907	—	9.7
	7	გადახურვის ფილები	12A-III	—	4500	80	33.6
	8	მონოლითური კიბე	—	—	170	—	1.2
			ჯამში		11602	1124	73.2

დირექტორი		გ.ჯანკეტაძე	ქ.თბილისი, სოფ.დიღომი,	სტადია	ფურცელი	ფურცლები
კონსტრუქტორი		გ.ჯანკეტაძე	საცხოვრებელი სახლი	პროექტი		
შემსრულა		მ.ბარბაქაძე	სამ 01.72.14.064.324			
			კონსტრუქციული ნაწილი	შპს"ოპტიმუსი"		
			ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი	თბილისი 2021 წელი		

საექსპერტო კვლევითი ჯგუფი

შ.პ.ს "ექსპერტ დეველოპმენტი"



LTD "expert development"

მტკვრის ქუჩა №6

ტელ: 599 98 05 21

Mail:expert_development@gmail.com

25/02/2021 წელი

ქ.თბილისი, სოფ. დიღომი „ჩალიპირები“ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.72.14.064.323) საპროექტო ინდ.საცხოვრებელი სახლის პროექტის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციული ნაწილის
საექსპერტო შეფასება

დამკვეთი – შპს „ელ კაპიტალ თბილისი“ (ს/კოდი 405408278)

საექსპერტო ობიექტის მისამართი - ქ.თბილისი, სოფ. დიღომი „ჩალიპირები“ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.72.14.064.324)

შემსრულებელი ექსპერტი – ალექსანდრე ყურაშვილი ინჟინერი-მშენებელი, კონსტრუქტორი.

ექსპერტიზის წინაშე დასმული ამოცანა – ქ.თბილისი, სოფ. დიღომი „ჩალიპირები“ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.72.14.064.324) საპროექტო ინდ.საცხოვრებელი სახლის პროექტის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასება შესაბამისი დასკვნის მომზადება.

გამოყენებული ნორმატიული აქტები და სხვა სახელმძღვანელო ლიტერატურა:
1) სნ და წ. პნ 01.01-09 “სეისმომედეგი მშენებლობა”
2) სნ და წ. პნ 02.01.-08 “შენობებისა და ნაგებობების ფუძე-საძირკვლები”
3) СНиП 2.02.01-83 Основания зданий и сооружений;
4) სამშენებლო ნორმები და წესები 2.03.01-84 „ბეტონი და რკ/ბეტონის კონსტრუქციები“

კვლევა – ჩემს მიერ შემოწმება ჩაუტარდა საინჟინრო ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას - ქ.თბილისი, სოფ. დიღომი „ჩალიპირები“ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.72.14.064.323) ინდ.საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილს, შენობის სივრცითი კარკასის საანგარიშო მოდელს, კონსტრუქციულ სქემებს და მის საფუძველზე შექმნილ კონსტრუქციულ ნაწილს.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი მომზადებულია შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ. კონსტრუქტორი-გ.ჭანკვეტაძე;

ტერიტორიაზე იგეგმება ინდ.საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოები. სამშენებლო მოედანი ხასიათდება მოსწორებული რელიეფით.

მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის თანახმად მასზე არახელსაყრელი გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, კარსტი, ჩაჯდომედი გრუნტები) არ აღინიშნება.

კვლევის შედეგად სამშენებლო მოედანზე გამოყოფილია შემდეგი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი:

1. სგე 1 - თიხნარი (ფენა 2);

რომელიც მიღებულია ფუძეება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლებით - საანგარიშო წინაღობვა R_0=2,20კგ.ძ/სმ^2, სიმკვრივე ρ=1.97გ/სმ3, ხვედრითი შეჭიდულობა C=0,320 კგ.ძ/სმ2; დეფორმაციის მოდული E=280 კგ.ძ/სმ2.

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 0,85 კპა; თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 0,5 კპა;

მოედანი საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების მიხედვით მდებარეობს 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით (აჩქარების უგანზომილებო კოეფიციენტით - A=0.15მ/წმ^2);

გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

შესასწავლი საპროექტო შენობა ფუნქციური დანიშნულებით - ერთბინიანი საცხოვრებელი სახლია.

საპროექტო შენობა ორსართულიანია და თვისობრივი კონსტრუქციული წყობით მიეკუთვნება ხისტკვანძებიან კარკასულ ტიპს, შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა მაქსიმალური ღერძულა ზომებით - 11,40X17,30 მ.

მისი კონსტრუქციები შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:
საძირკვლები წერტილოვანი (1,50X1,50X0,40(h)მ. გამოყენებულია არმატურა d12A500c ბ200 ქვედა შრე X მიმართულება; არმატურა d12A500c ბ200 ქვედა შრე Y მიმართულება, d12A500c ბ200, ზედა შრე X მიმართულება; არმატურა d12A500c ბ200 ზედა შრე Y მიმართულება) რომლებიც შეკრულია რანდკოჭებით - განივკვეთი 0,30X0,50მ. (გამოყენებულია არმატურა 8 d18A500c; 8A240c)
სვეტები განივკვეთი 0,30X0,30მ.(გამოყენებულია არმატურა 8 d18A500c; 8A240c)
რიგელები სართულების ნიშნულებზე. განივკვეთი 0,30X0,40მ. (გამოყენებულია არმატურა 8 d18A500c; 8A240c)
იატაკის ერთშრედ არმირებული ფილა h=0.10მ გამოყენებულია არმატურა 12A500c ბ200 ორივე X და Y მიმართულებით; და სართულშუა გადახურვის წიბოვანი, ორშრედარმირებული ფილა: სართულების ნიშნულებზე. h=0.16 მ; ფილა გამოყენებულია არმატურა 12A500c ბ200 ორივე შრეში X და Y მიმართულებით; ხოლო სასხვენო გადახურვა ხის კონსტრუქციებით ეწყობა -ხის კოჭი 0,18X0.09მ. ბიჯი 0,80მ.
შენობის გადახურვა ბრტყელია.
შენობის მზიდი კონსტრუქციების სივრცითი მოდელის საანგარიშო სქემა შედგენილია პროგრამული კომპლექსი "Лира сапр 2016"-ს მეშვეობით. სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე.. სივრცით ანგარიშებში მოცემულია რკ/ბეტონის ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცითი სისტემა, რომლის გადაადგილება სივრცეში შეზღუდულია საძირკვლის ძირის დონეზე არსებული X,Y ,Z მიმართულების ბმებით.

საერთო ჯამში შენობების სივრცითი ჩარჩოები გაანგარიშებულია შემდეგი სახის დატვირთვებზე:

№1 სტატიკური დატვირთვა - მუდმივი მოქმედების;

№2 სტატიკური დატვირთვა დროებითი, ხანმოკლე მოქმედების;

№3 სეისმური დატვირთვები X,Y ,Z მიმართულებებით;

მონოლითური რკ/ბეტონის ელემენტების არმირება შემოწმდა სნ და წ 2.03.01-84-ის „ბეტონი და რკ/ბეტონის კონსტრუქციები“ მოთხოვნების გათვალისწინებით. მზიდი კონსტრუქციების არმირებაში პროექტით მოცემულია A500C, A240C კლასის არმატურა, ბეტონი - B25 კლასის.

